გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 207 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 43 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- ,,კენჭაურას" უბანში საჭიროა სარწყავი არხის მიმდებარედ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება და გზის სრული რეაბილიტაცია
- ჩინეთის უბანში 700 მეტრიანი გზის მოასფალტება.
- ოხერის უბანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.
- მოსახლეობა ითხოვს ასევე ჩინეთის უბანში, სკვერის მიმდებარედ არსებული ტრანსპორმატორის, სხვა ლოკაციაზე გადატანას.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

მოგახსენებთ განვლილ პერიოდში სოფელ ხიდისთავში გაკეთებულ ინფრასტრუქტურულ პროეტებს, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, კერძოდ:

- სოფელ ხიდისთავში მოასფალტდა 3 კილომეტრიანი გზა ,,პლატფორმის" უბანში.
- ჩინეთის უბანში გაკეთდა სკვერი.
- მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.
- მოხდა კლუბის შენობის და ამბულატორიის დემონტაჟი, სადაც გაკეთდება ამბულატორია და სპორტული სივრცე.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2023 წლის 25 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ივანე ნონიკაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ივანე ნონიკაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ივანე ნონიკაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ივანე ნონიკაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ნატატაშვილმა, დარეჯან ტერმაკოზაშვილმა, შორენა რამაზაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე.

საკრებულოს წევრი : ივანე ნონიკაშვილი;